საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *მაია კოპალეიშვილის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	13	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	16	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	12	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	84	100

სახელი, გვარი: დიმიტრი გვრიტიშვილი

თარიღი: 28.05.2021 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
დიმიტრი გვრიტიშვილი

2021 წლის 28 მაისი, ქალაქი თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 გადაწყვეტილებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - **მაია კოპალეიშვილის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

1.1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

1.2. საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის №1/141 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა 50 პირი, მათ შორის - მაია კოპალეიშვილი. საბჭოს 2021 წლის 5 აპრილის №1/26 განკარგულებით, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2021 წლის 1 აპრილის ორგანული კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე, დადგინდა, რომ ამ პროცედურის ფარგლებში 2021 წლის 6-12 აპრილის პერიოდში მიღებული იქნებოდა დამატებითი განცხადებები. შედეგად, საბჭოს 2021 წლის 15 აპრილის განკარგულებით, ამ პროცედურაში დარეგისტრირდა 2 ახალი კანდიდატი.

1.3. საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია პროცედურაში მონაწილე კანდიდატთა შესახებ, რომელიც გასაცნობად წარმოგვედგინა საბჭოს წევრებს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით. აღნიშნულ ინფორმაციას გავეცანი დეტალურად.

1.4. კანდიდატების საჯარო მოსმენა დაიწყო 2020 წლის 10 დეკემბერს. უშუალოდ მაია კოპალეიშვილის საჯარო მოსმენა გაიმართა 2020 წლის 23 დეკემბერს, რომელშიც მივიღე მონაწილეობა და, საბჭოს სხვა წევრებთან ერთად, ვისარგებლე კანდიდატისათვის შეკითხვების დასმის უფლებით.

1.5. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ კანდიდატთა შეფასების წესი განსაზღვრულია ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით; იმისდა მიხედვით, კანდიდატს გააჩნია თუ არა სამოსამართლო გამოცდილება, შეფასების წესი განსხვავებულია.

ვინაიდან მაია კოპალეიშვილს გააჩნია სამოსამართლო გამოცდილება, მისი შეფასება განვახორციელე ორგანული 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით სამოსამართლო უფლებამოსილების მქონე კანდიდატის შეფასებისათვის განსაზღვრული წესით, კერძოდ:

1.5.1. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36[3] მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 (ხუთი) მახასიათებლის მიხედვით და, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე, ამ მახასიათებელთა ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე, შევადგინე საბოლოო დასკვნა კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ. ცალსახაა კანონმდებლის ნება, რომ შეფასება დაეფუძნოს მონაცემთა ანალიზსა და შეჯერებას, ამიტომ ყოველი მახასიათებლის მიხედვით შეფასება დავაფუძნე კანონითვე იმავე მახასიათებლისათვის განსაზღვრული ცალკეული კომპონენტების ანალიზსა და შეჯრებას შემდეგნაირად: თუ კანდიდატი ყველა ამ კომპონენტის მიმართ დადებითად შეფასდა, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,სრულად აკმაყოფილებს" მახასიათებელს; თუ კომპონენტებიდან რომელიმეს მიმართ შეფასება უარყოფითი იყო, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,აკმაყოფილებს" მახასიათებელს; ხოლო თუ ორი ან მეტი კომპონენტის შეფასება აღმოჩნდა უარყოფითი, მივიჩნიე, რომ კანდიდატი ,,არ აკმაყოფილებს" მახასიათებელს.

1.5.2. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36[3] მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 7 (შვიდი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 36[4] მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების და თითოეული ამ ქულის დასაბუთების გზით.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

2.1. ***საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია***:

2.1.1. მაია კოპალეიშვილი 56 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

კანდიდატი სპეციალობით მუშაობს 30 წელია, აქედან - 12 წელი სამოსამართლო უფლებამოსილებით, კერძოდ: 2005-2007 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე და ამავე კოლეგიის თავმჯდომარე; 2009-2019 წლებში იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი.

კანდიდატი 2006-2007 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი.

2.1.2. რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის დადებით თვისებებს: პროფესიონალიზმი, ერთგულება, გულისხმიერება, სამართლიანობა, თანადგომის საოცარი უნარი და შრომისმოყვარეობა. აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გამოკითხულთაგან ერთი რესპოდენტი კანდიდატის სისუსტედ უთითებს, რომ მ. კოპალეიშვილის სამართლიანობის პრინციპებისადმი ერთგულება ზოგჯერ იწვევს მის მიმართ ადამიანების განაწყენებას. ხოლო, მეორე რესპოდენტის აზრით, დილას ნაკლებად აქტიურია, ვიდრე საღამოს, შეუძლია იმუშაოს მთელი ღამე.

გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად. ორი მათგანი მის პირად თვისებებს იცნობს საშუალოდ. რესპოდენტებიდან ორის აზრით კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო ერთი მიიჩნევს რომ აკმაყოფილებს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით ორი აფასებენ „ძალიან კარგად", ხოლო ერთი

რესპოდენტი კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებით შეფასებისას კანდიდატს აფასებს „კარგად“.

2.1.3. კანდიდატს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა ჩაბარებული აქვს 2005 წლის 18 ივნისს.

2.1.4. მაია კოპალეიშვილმა მონაწილეობა მიიღო შემდეგ პროფესიულ-სასწავლო ღონისძიებებში:

- სამეცნიერო მივლინება - გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის (DAAD) სამეცნიერო სტიპენდია. შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. სამეცნიერო კვლევა ადმინისტრაციული სამართლის თემაზე: „საჯარო მმართველობის რეფორმა და ადამიანის უფლებების დაცვა“, (გერმანია, შპაიერი).

- სამეცნიერო მივლინება (6 თვე: 3-3 თვე სხვადასხვა დროს 2 წლის განმავლობაში) - გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის (DAAD) და ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ (OSI) ერთობლივი სამეცნიერო სტიპენდია. შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. სამეცნიერო კვლევა ადმინისტრაციული სამართლის სხვადასხვა თემაზე: „ადმინისტრაციული სამართლის მეცნიერება და თანამედროვე საჯარო მმართველობა“, „მმართველობის მოდერნიზაცია“, (გერმანია, შპაიერი) 2010-2011 წწ.

- კაზუსის ამოხსნის მეთოდიკაში. მსმენელი. - ორგანიზატორი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდი (IRZ), ტრენერთა ტრეინინგი, 2013-2015 წწ.

- ტრეინინგი სწავლების მეთოდოლოგია თსუ-ის პროფესორებისათვის. მსმენელი.

- მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი (JILEP), თბილისი, 2014 წ.

- „სამხრეთ კავკასიის სამართლისა და სასამართლო სისტემის რეფორმის რჩევები/კონსულტირება“ ტრეინინგი. მსმენელი. - ორგანიზებული გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ, (გერმანია, ბერლინი - ლაიპციგი).

- საერთაშორისო კონფერენციაზე მოხსენება თემაზე: საარჩევნო უფლება და გარდამავალი დემოკრატია - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა მნიშვნელობა კონსოლიდირებული დემოკრატიისათვის, ბათუმი, 2016 წ.

- მოხსენება თემაზე: პრობლემური საკითხების ანალიზი-ინფორმაციის თავისუფლება (არსებულის რეფორმა, დილემა-დარეგულირდეს სზაკ-ით თუ შეიქმნას ცალკე კანონი). მრგვალი მაგიდა - ადმინისტრაციული სამართლის რეფორმის პერსპექტივები საქართველოში - ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. - ორგანიზებული ერთობლივად - საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ევროკავშირის პროექტის „კერძო და ადმინისტრაციული სამართლის სისტემების განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“ მიერ, თბილისი, 2017 წ.

- საგრანტო პროექტი: ინფორმაციის თავისუფლების რეფორმის მხარდაჭერის პროექტი. ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელ კანონმდებლობაში განსახორციელებელ ცვლილებათა კონცეფციის მომზადება, „ინფორმაციის თავისუფლების შესახებ“ საკანონმდებლო აქტის პროექტის შექმნაში/შემუშავებაში მონაწილეობის მიღება. ექსპერტი.

- ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“, თბილისი, 2013-2014 წწ.

- საგრანტო პროექტი: ადმინისტრაციული სამართლის რეფორმის პროექტი. ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის და ადმინისტრაციული სამართლის პროცესის რეფორმა. ექსპერტი. - ევროკავშირისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტი, თბილისი, 2016-2017 წწ.

- მე-15 საერთაშორისო კონგრესი: „ევროპული და შედარებითი კონსტიტუციური სამართალი". მონაწილე. - ორგანიზებული გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდის (IRZ) და რეგენსბურგის უნივერსიტეტის პროფესორის რაინერ არნოლდის (Rainer Arnold) მიერ, რეგენსბურგის უნივერსიტეტი, 2013 წ. (გერმანია).

- ბალტიისპირეთისა და შავი ზღვის რეგიონების ქვეყნების კონსტიტუციური მართლმსაჯულების ასოციაციის (BBCJ) მესამე კონგრესი. თემა: „საკონსტიტუციო სასამართლოების როლი ევროპული ინტეგრაციის პროცესში"., მონაწილე, თბილისი, 2018წ.

- კონსტიტუციით დადგენილი ბალანსი სასამართლო აქტებზე საჯარო ხელმისაწვდომობის უფლებისა და პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობისაგან დაცვის უფლებას შორის - ექსპერტი 2020წ. და სხვა.

2.1.5. კანდიდატი ახორციელებს პედაგოგიურ საქმიანობას, კერძოდ:

- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უძღვება სხვადასხვა სალექციო კურსს.

წარსულში ახორციელებდა პედაგოგიურ საქმიანობას კავკასიის სამართლის სკოლასა და ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში.

2.1.6. კანდიდატი არის მრავალი სტატიის/სახელმძღვანელოს ავტორი/თანაავტორი:

- სამეცნიერო ჟურნალი „ადმინისტრაციული სამართალი", სამეცნიერო რედაქტორი. ჟურნალი გამოდის 2013 წლიდან. გამომცემლობა: ჟურნალის პირველი და მეორე ნომერი გამოვიდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) და თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის თანამშრომლობით.

- სამეცნიერო რედაქტორი, ავტორთა კოლექტივის ავტორობით გამოცემული წიგნი: „ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა" გამომცემლობა: გამოცემულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, საქართველოს სახალხო დამცველის და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მხარდაჭერით. თბილისი, 2013 წ.

- სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად ცნობის საკითხისათვის., გვ. 170-179. გამომცემლობა: „სამართლის ჟურნალი", თსუ, იურიდიული ფაკულტეტი თარიღი: 12, 2016. შენიშვნა: იგივე სტატია ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა ჟურნალის იმავე ნომრის ინგლისურ ვერსიაში. Maia Kopaleishvili, For Declaring the Legal Act Void, Journal of Law. TSU Faculty of Law. გვ. 131-138.

- Electoral Rights and Transitional Democracy – Significance of Judgments of the Constitutional Court of Georgia for Consolidated Democracy (თარგმანი: საარჩევნო უფლება და გარდამავალი დემოკრატია - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა მნიშვნელობა კონსოლიდირებული დემოკრატიისათვის)., გვ. 268-272. გამომცემლობა: „South Caucasus Law Journal", თსუ-ის და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ერთობლივი გამოცემა. ორენოვანი (ინგლისური, რუსული) ჟურნალი. 2016 წ.

- იწვევს თუ არა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-5[1] ნაწილის მოქმედება მშობლის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.,

გვ.295-306. გამომცემლობა: „სამართლის ჟურნალი“. თსუ, იურიდიული ფაკულტეტი. 2013 წ.

- ერაყსა და კოსოვოში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ბატალიონებში მოსამსახურე საქართველოს მოქალაქეების საყოველთაო საარჩევნო უფლების რეალიზაციის შესახებ., გვ.556-576. გამომცემლობა: „ქართული სამართლის მიმოხილვა“ (ორენოვანი-ქართულ-ინგლისური ჟურნალი), ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის (GEPLAC) გამოცემა. 2007 წ.

- ინფორმაციის თავისუფლება და სასამართლოს გამჭვირვალობა., გვ. 13-26. გამომცემლობა: „მართლმსაჯულება და კანონი“, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის იურიდიული ჟურნალი (ორენოვანი-ქართულ-ინგლისური გამოცემა). 2007 წ.

- ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება, რომელიც არ გულისხმობს ადმინისტრაციული აქტის გამოცემას (ფაქტობრივი მოქმედებები)., გვ. 45-54. გამომცემლობა: „ადამიანი და კონსტიტუცია“. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გამოცემა, რეფერირებადი ჟურნალი. თარიღი: 11, 2004 წ.

- ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის არსი, პროფესორ გივი ინწკირველის 75-ე წლის იუბილისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული., გვ. 260-274. გამომცემლობა: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თარიღი: 2002 წ.

- ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციონალური (სამართლებრივი მოწესრიგების) საფუძველი., გვ. 57-65. გამომცემლობა: „ალმანახი“, სერია: სახელმწიფო და სამართალი (II). საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამოცემა. 1999 წ.

- სახელმწიფო აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ურთიერთმიმართება., გვ. 35-40. გამომცემლობა: „სამართალი“., საქართველოს იურისტთა კავშირი. თარიღი: 19-10, 1998 წ.

- დეცენტრალიზაცია და სახელმწიფო მმართველობის დემოკრატიზმი., გვ. 46-49 გამომცემლობა: „ადამიანი და კონსტიტუცია“., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. 1998 წ.

- კონსტიტუციური კონტროლი ავსტრიაში., გვ. 79-85 გამომცემლობა: „ადამიანი და კონსტიტუცია“.,საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. 1998 წ.

- აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური - საქართველოს პრეზიდენტი., გვ. 49-56. გამომცემლობა: „საუბრები საქართველოს კონსტიტუციაზე“., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გამოცემა. 1997 წ.

- ავტორთა კოლექტივი. ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო., თავი I, პარაგრაფი 1; თავი VI, პარაგრაფები 2,4. გამოცემის წელი: თბილისი, „იურისტების სამყარო“, 2018წ.

- ავტორთა კოლექტივი. ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო., გვ. 332- 355; 359-381. გამოცემის წელი: თბილისი, გამოცემულია გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) ფინანსური მხარდაჭერით. 2008წ.

- ავტორთა კოლექტივი. ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო. ადმინისტრაციული გარიგება., გვ. 191-228. გამოცემის წელი: გამოცემულია გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) ფინანსური მხარდაჭერით. თბილისი, 2005წ.

- ავტორთა კოლექტივი. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი., 23-ე, 24-ე მუხლების კომენტარი. გამოცემის წელი: გამომცემლობა „მერიდიანი"., თბილისი, 2004წ.

- მონოგრაფია (დამხმარე სახელმძღვანელო): ავტორი: მაია კოპალეიშვილი, თბილისი, სათაური: ადმინისტრაციული გარიგება. გამოცემის წელი: გამოცემულია აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და მერილენდის უნივერსიტეტის IRISCenter-ის ფინანსური მხარდაჭერით., 2003 წ.

2.1.7. მაია კოპალეიშვილს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ აქვს; აქვს მიმდინარე საბანკო სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორიით; ეკუთვნის უძრავი ქონებები ქალაქ თბილისში (მიწის ნაკვეთი 601 კვ.მ; სამი საცხოვრებელი ბინა), სამტრედიის მუნიციპალიტეტში (4 მიწის ნაკვეთი; საცხოვრებელი სახლის - 433.1 კვ.მ. 50%) და ქალაქ ბათუმში (საცხოვრებელი ბინა), არ ეწევა სამეწარმეო საქმიანობას.

2.1.8. ბოლო სამი წლის განმავლობაში, კანდიდატი, ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის, რამდენჯერმე იქნა დაჯარიმებული. ჯარიმები გადახდილია დროულად.

კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. იგი ბრალდებულად/დაზარალებულად სისხლის სამართლის საქმეში ცნობილი არ ყოფილა.

კანდიდატი არ ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/შემომწირველი.

2.1.9. კანდიდატმა წარმოადგინა შემდეგი სამართლებრივი დოკუმენტაცია:

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება №1/4/693.857;

- სამართლის ჟურნალი, თსუ, იურიდიული ფაკულტეტი, 2016 წ.

- ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „იურისტების სამყარო", თბილისი, 2018 წ.

- ადმინისტრაციული გარიგება, თბილისი, 2003 წ.

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მაია კოპალეიშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2017 წლის 17 მაისის N3/3/600 გადაწყვეტილებაზე საქართველოს კონსტიტუციის 28-ე და 29-ე მუხლების შინაარსის გამიჯვნასთან დაკავშირებით.

მათი შესწავლით დავადგინე, რომ მაია კოპალეიშვილი ზოგჯერ სათანადოდ არ იყენებს სასვენ ნიშნებს, ასევე - ხშირადაა გამოყენებული რთული თანწყობილი/ქვეწყობილი წინადადებები, რაც აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემას გარკვეულწილად აფერხებს.

2.2. ***კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:***

2.2.1. მაია კოპალეიშვილის საჯარო მოსმენის სრული ვიდეო-ჩანაწერი ყველასათვის ხელმისაწვდომია (იხ: https://www.youtube.com/watch?v=7Ae5X_S321Q). მას საბჭოს წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე - სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

2.2.2. შეკითხვებზე პასუხები ძირითადად, თანმიმდევრული, დასაბუთებული იყო და სწორ სამართლებრივ შეფასებებს ეყრდნობოდა; თუმცა, იყო აშკარა შეცდომები და ხარვეზები პასუხები დაახლოებით 35%-ში (მაგ: ვერ უპასუხა შეკითხვას, თუ რას წარმოადგენდა დისკრიმინაცია ასოცირების გამო, ასევე - Prima facie დისკრიმინაცია; სათანადოდ ვერ ჩამოაყალიბა მოსაზრებები კანონის უკუძალის აკრძალვასთან (უკუძალის ფორმებთან) დაკავშირებით. განაცხადა, რომ სამოსამართლო ეთიკის წესები იმპერატიულია და ,,მსუსხავი ეფექტი" აქვს; არადა,

სასამართლო რეფომის შედეგად, სამოსამართლო ეთიკის წესების დარღვევისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობა გათვალისწინებული აღარ არის. განაცხადა, რომ თუ პროკურორი სასამართლო სხდომაზე მკვლელობაში ბრალდებულს უწოდებს ,,მკვლელს", ამით დაარღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას; განაცხადა, რომ ,,შინაგანი რწმენის" ცნება აღარ გვხვდება საპროცესო კოდექსებში და შენარჩუნდა მხოლოდ ორგანულ კანონში და ა.შ.).

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

3.1. მაია კოპალეიშვილის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ:

3.1.1. კანდიდატი, როგორც ყოფილი მოსამართლე და მოქალაქე, არის პატიოსანი, კეთილსინდისიერი, აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, არის სიმართლისმოყვარე; არის კორექტული და ზუსტი სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და ა.შ.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ მაია კოპალეიშვილი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ,,პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის" მახასიათებელს.

3.1.2. კანდიდატი არის პრინციპული, სამართლიანი, მიუკერძოებელი, პიროვნულად მყარი და შეუვალი, რის გამოც გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების და ზეგავლენის მიმართ მედეგობის უნარები.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ მაია კოპალეიშვილი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ,,დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის" მახასიათებელს.

3.1.3. კანდიდატი კორექტულია კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, აქვს საკუთარი ემოციების მართვის უნარი და არის თავდაჭერილი. ამიტომ, დავრწმუნდი, რომ მაია კოპალეიშვილის მოსამართლედ ხელახლა გამწესების შემთხვევაში, იგი დაიცავს სამოსამართლო ეთიკას, აქვს და ექნება მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისხლის ან სხვაგვარი სამართალწარმოება) დროს, მისი ქცევა იქნება სათანადო, შექმნილი ფაქტობრივი/სამართლებრივი რეალობის ადეკვატური.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ,,პიროვნული და პროფესიული ქცევის" მახასიათებელს.

3.1.4. კანდიდატს აქვს მაღალი საქმიანი და მორალური რეპუტაცია/ავტორიტეტი, მისი ურთიერთობის ხასიათი იურიდიულ წრეებთან სრულ შესაბამისობაშია მოსამართლის სტატუსთან; ამ დასკვნის გამაქარწყლებელი ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება ჩემთვის უცნობია.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ მაია კოპალეიშვილი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ,,პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის" მახასიათებელს.

3.1.5. კანდიდატის შემოსავლის წყაროს და ოდენობის, აქტივების, მის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ქონების და მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ერთობლივად გაანალიზების შედეგად, მივიჩნიე, რომ მაია

კოპალეიშვილის მოსამართლედ ხელახლა გამწესების შემთხვევაში, არ იარსებებს წინააღმდეგობა მის ქონებრივ ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს საფრთხეს მოსამართლის მიუკერძოებლობისადმი.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ მაია კოპალეიშვილი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ,,ფინანსური ვალდებულების" მახასიათებელს.

3.2. ვინაიდან კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5-ვე მახასიათებლის მიმართ შევაფასე სრულად დადებითად, საბოლოოდ დავასკვენი, რომ მაია კოპალეიშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. მაია კოპალეიშვილის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ:

4.1.1. ზემოთ, 2.2.2 პუნქტში აღწერილი შეცდომების/ხარვეზების შემთხვევების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ძირითადად, კარგად იცნობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობებს, ადამიანის უფლებების სამართალს, მათ შორის - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

შესაბამისად, მაია კოპალეიშვილი, ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ,,სამართლის ნორმების ცოდნის" მახასიათებლის მიხედვით, შევაფასე 13 ქულით (ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ქულის 65%).

4.1.2. კანდიდატს გააჩნია ანალიტიკური აზროვნების, საკუთარი მოსაზრების კარგად დასაბუთების უნარი, რაც ამ მოსაზრებას დამაჯერებლობასაც ანიჭებს. მას, მართალია, გააჩნია საერთო სასამართლოს მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება, თუმცა - ეს გამოცდილება იყო მცირე (2005-2007 წლებში). მართალია, იგი 2009-2019 წლებში იყო საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე, თუმცა - საკონსტიტუციო მართლმსაჯულება სპეციფიკურია და განსხვავდება საერთო სასამართლოს მიერ განსახორციელებელი მართლმსაჯულებისაგან. საერთო სასამართლოს მოსამართლეობის უფლებამოსილების შეწყვეტიდან კი გასულია დიდი დრო (თითქმის 14 წელი).

აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ მაია კოპალეიშვილი ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული ,,სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 18 ქულით (ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ქულის 90%).

4.1.3. ზემოთ, 2.1.9 პუნქტში აღნიშნული ხარვეზების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატს, ძირითადად, გააჩნია აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.

შესაბამისად, მაია კოპალეიშვილი ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული ,,წერის უნარის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 16 ქულით (ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ქულის 80%).

4.1.4. კანდიდატს გააჩნია გამართული მეტყველების, სხვისი აზრის (მათ შორის - განსხვავებული აზრის) მოთმინებით მოსმენის და ღიაობის სათანადო უნარები.

შესაბამისად, მაია კოპალეიშვილი, ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული ,,ზეპირი კომუნიკაციის უნარის" მახასიათებლის მიხედვით, უნდა შეფასდეს 15 ქულით (ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ქულა).

4.1.5. კანდიდატი პუნქტუალურია, მიზანდასახულია, გულმოდგინე და შრომისმოყვარეა, გადაწყვეტილებას იღებს დაუხმარებლად და აქვს დამოუკიდებელი აზროვნების კარგი უნარი; მოსამართლედ ხელახლა გამწესების შემთხვევაში, მაია კოპალეიშვილი სასამართლო სხდომას წარმართავს სათანადოდ, მხარეებთან მისი კომუნიკაცია შესაბამისობაში იქნება მოსამართლის მაღალ სტატუსთან. თუმცა, ვინაიდან საერთო სასამართლოებში მისი სამოსამართლო უფლებამოსილების შეწყვეტიდან გასულია დიდი დრო (თითქმის 14 წელი), მიჭირს დავასკვნა, რომ კანდიდატი სრულყოფილად შეძლებს - საქმეები მოამზადოს ჯეროვნად, სათანადოდ იმუშავოს სტრესულ გარემოში და ამით ზედმიწევნით დაიცვას საპროცესო ვადები. თუმცა, ვითვალისწინებ იმასაც, რომ კანდიდატი საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე იყო 2009-2019 წლებში.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ მაია კოპალეიშვილი ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული მახასიათებლის - ,,პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში" - მიხედვით უნდა შეფასდეს 12 ქულით (ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ქულის 80%).

4.1.6. კანდიდატი სიახლეების მიმართ ღიაა, აქვს თვითგანვითარების უნარი, შესაბამისი საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, რისთვისაც ხშირად მონაწილეობს პროფესიული წვრთნის პროგრამებში, ხოლო შეძენილ ცოდნას და უნარებს წარმატებით იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ მაია კოპალეიშვილი ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული ,,აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური - 5 ქულით.

4.1.7. კანდიდატი ხშირად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში, სადაც საკუთარ პოზიციას (შეხედულებებს) გამოხატავს ღიად და თავისუფლად, იჩენს ინიციატივას და აქვს იდეების/წინადადებების წამოყენების უნარი.

ასევე აღსანიშნავია, რომ მაია კოპალეიშვილი ახორციელებს ახორციელებს პედაგოგიურ/სამეცნიერო საქმიანობასაც.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრული ,,პროფესიული აქტივობის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური - 5 ქულით.

4.1.8. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, მაია კოპალეიშვილს ვანიჭებ 84 ქულას.